



მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსების ფონეტიკური
ცვლილებები შიდა ქართლში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაში

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი,

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,

+995577251275.maikoberidze@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

აბსტრაქტი

წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიაში განხილულია შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში - წითელუბანში, შავშვებსა და ნაწრეტში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაში მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსების ფონეტიკური ცვლილებების ტენდენია, რეალიზაციის შემთხვევები და სიხშირე. კვლევა ემყარება სხვადასხვა დროს ჩვენ მიერ ჩაწერილ და გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებს.

წითელუბნის, შავშვებისა და ნაწრეტის მეტყველებაში დასტურდება ქართლურთან აჭარულის და მესხურ-ჯავახურის სამეტყველო კოდთა შერევის შემთხვევები. შიდა ქართლის ამ სოფლებში მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გადმოსახლდნენ საცხოვრებლად ხულოს რაიონის სოფელ ჩაოდან, მოგვ-

იანებით სამცხე-ჯავახეთიდან (სოფელი ხიზაბავრა) და ქართლის სხვადასხვა კუთხიდან (ისტორიული სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობა).

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილება უპირატესად დადასტურდა სიტყვის თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში. საყურადღებოა, ასიმილაციისა და დისიმილაციის გამოვლენის სამი მარკერი: ლოკალური რიგი (საწარმოთქმო ადგილი), ღიაობა (აწეულობა) და ლაბიალურობა.

ზმნისწინისეული ხმოვანი იცვლება კომპლექსებში რეგრესული, კონტაქტური, სრული ასიმილაციის შედეგად. აე→ეე: წეელო (←წაეელო), გეელო (←გაეელო); ოე→ეე: მეერია (←მოერია), მეეკიდა (← მოეკიდა); აუ→უუ: უუწია (←აუწია), დუუდებენ (←დაუდებენ) ; ეუ →უუ: შუუკრა (←შეუკრა); აი→იი: იმიტანა (←ამიტანა), დიმიყვირა (←დამიყვირა)... კომპლექსთა ცვლილება ხდება არა მარტო მეზობლად მყოფ ხმოვნებს შორის, არამედ დისტანციურად, თანხმოვნით დაშორებულ ელემენტებს შორისაც, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ზმნას რთული ზმნისწინი დაერთვის. ცვლილებას განიცდის რთული ზმნისწინის ორივე ხმოვნითი ელემენტი: გიდიმიყარა გიდიმიყარა (←გადამიყარა). ეს მოვლენა შიდაქართლურისთვისაც არის დამახასიათებელი, მხოლოდ განსხვავებულია ხმოვანთა ცვლილება: გემეერჩია (←გამოერჩია), წემეეყვანა (←წამოეყვანა).

სრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული ეე განიცდის რეგრესულ დისიმილაციას. აე→ეე→იე: გიეკიდა (←გეეკიდა ←გაეკიდა), დიესიენ (←დეესიენ←დაესიენ). ხმოვანთა დისიმილაცია გვხვდება სახელებში ბოლოკიდურ პოზიციაში. ეე→ იე→დე: ხეები →ხიები →ხდეები; რძეები→რძიები→რძდეები.

კვლევამ აჩვენა, რომ წითელუბნის, შავშვებისა და ნაწრეტის მეტყველებაში მორფმათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებების ძირითადი ტენდენციები საერთო

ქართულია, თუმცა დასტურდება გარკვეული მოდიფიკაციებიც, რომელიც განპირობებულია დიალექტის შინაგანი კანონებით, მოსახლეობის მიგრაციითა და სამეტყველო კოდთა შერევით.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია ქართველური დიალექტოლოგიის და, საერთოდ, ქართული სალიტერატურო ენის საკვანძო საკითხების დიაქრონიული ანალიზისათვის.

საკვანძო სიტყვები: შიდა ქართლი, აჭარული დიალექტი, ხმოვანთკომპლექსები, მორფემა, ფონეტიკური ცვლილება.

შესავალი

ქართული ქვესისტემების მიხედვით მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებები ზედმიწევნით არის აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ერთი და იმავე პრინციპის მიხედვით ერთი და იმავე ხმოვანთკომპლექსის ცვლილება დიალექტებში შესაძლებელია იძლეოდეს განსხვავებულ ფონეტიკურ ნაირსახეობებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წარმოადგენდეს ერთი და იმავე ტენდენციის გამოვლინებას. ფონეტიკურ ცვლილებებზე გავლენას ახდენს ხმოვნების ფიზოლოგიური მახასიათებლები და ურთიერთობა მანძილის მიხედვით.

წითელუბნის, შავშვებისა და ნაწრეტის მეტყველებაში დასტურდება ქართლურთან აჭარულის და მესხურ-ჯავახურის სამეტყველო კოდთა შერევის შემთხვევები. შიდა ქართლის ამ სოფლებში გადმოსახლდნენ მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საცხოვრებლად ზემო აჭარიდან ხულოს რაიონის სოფელ ჩაოდან, მოგვიანებით სამცხე-ჯავახეთიდან, სოფელ ხიზაბავრიდან და ქართლის სხვადასხვა კუთხიდან. 2008 აგვისტოს

ომის შემდეგ, იძულებითი მიგრაციის შედეგად ისტორიული სამაჩაბლოს სოფლებიდან მოხდა დევნილი მოსახლეობის ჩასახლება. გვხვდება ოსური ოჯახებიც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შავშვებსა და წითელუბანში თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან ჩამოსახლებული მესხებიც ცხოვრობენ. ისინი მეტყველებენ თურქულად, აზერბაიჯანულად და რუსულად. მათ არ იციან ქართული ენა (მეტყველებაში წაშლილია მესხურის კვალი), თუმცა მეხსიერებას შემოუნახავს ქართველთა იდენტურობის მახასიათებელი - წინაპრის გვარი.

წითელუბნის, შავშვებისა და ნაწრეტის მეტყველებაში შეინიშნება, როგორც ქართლურის, ასევე აჭარულისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების ურთიერთმიმართების შემთხვევები. ეს შემთხვევები განსაკუთრებით თვალშისაცემია ჩვეულებრივ საუბარში, დიალოგში, როცა მოსაუბრე ქართლელია, თანამოსაუბრე აჭარელი, ან - პირიქით, მოსაუბრის მეტყველებაზე ხდება თანამოსაუბრის გადართვა.

ამ სოფლების მეტყველებაში მიმდინარე სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევები პირველად იქნა შენიშნული და გაანალიზებული ჩვენ მიერ სამეცნიერო სტატიებში: „ქართლურისა და აჭარულის ურთიერთმიმართების საკითხისათვის“ (2015:25-26); „დროის აღმნიშვნელი ზმნისართები შიდაქართლურში“ (2020: 54).

წითელუბნის, შავშვებისა და ნაწრეტის მეტყველებაში მორფემათა ზღვარზე, ხმოვანთკომპლექსთა ფონეტიკური გარდაქმნებისა და მათი რეალიზაციის შემთხვევების ანალიზი ემყარება ჩვენ მიერ წლების განმავლობაში მოპოვებულ დიალექტურ მასალებს. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმ ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც ეხება ქართლურ, აჭარულ და მესხურ დიალექტებს (ნოლაიდელი, 1960;

ნიჟარაძე, 1957; იმნაიშვილი, 1974; მარტიროვი, 1984; კობერიძე, 2024).

მეთოდი

საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებულია დაკვირვება, ემპირიული მასალის ანალიზი, კონტექსტის ანალიზი, ანკეტური გამოკითხვა, რაოდენობრივი კვლევა, აღწერისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდები. მოძიებული ემპირიული მასალები აღვწერეთ, შევუდარეთ ერთმანეთს აჭარულისა და ქართლურის სამეტყველო კოდები, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით გამოვავლინეთ ხმოვანკომპლექსთა ცვლილებების სიხშირე და საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გამოვიტანეთ შესაბამისი დასკვნები.

შედეგები

წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიაში შესწავლილია შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში - წითელუბანში, შავშვებსა და ნაწრეტში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაში მორფემათა ზღვარზე ხმოვანტოკომპლექსების ფონეტიკური ცვლილებები; გამოვლენილია მათი რეალიზაციის შემთხვევები და სიხშირე; გაანალიზებულია სხვადასხვა დროს ჩვენ მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებულ დიალექტური ტექსტები და საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა; განხილულია ასიმილაციისა და დისიმილაციის შედეგად გამოწვეული ხმოვანთა ცვლილებები კომპლექსებში (აე→ეე, ოე→ეე, აუ→უუ, ეუ→უუ, აი→იი, აე→ეე→იე, ეე→იე→დე...) და მათი გამოვლენის სამი მარკერი: ლოკალური რიგი (საწარმოთქმო ადგილი), დიაობა (აწეულობა) და ლაბიალურობა; გამოიკვეთა მორფემათა ზღვარზე ხმოვანტოკომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებების საერთო ქართული ტენდენციები და დიალექტის შინაგანი კანონ-

ნებით, მოსახლეობის მიგრაციითა და სამეტყველო კოდთა შერევით გამოწვეული მოდიფიკაციები.

მსჯელობა

ხმოვანთა ორშემადგენლიანი კომპლექსების ფონეტიკურ ცვლილებათა კანონზომიერებანი ქართული ენის დიალექტებში გაანალიზებულია შედეგის მიხედვით - დასახელებულია სამი რიგის კომპლექსი და განსაზღვრულია თითოეული ხმოვნისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებების ტენდენცია: 1. ფართო + ვიწრო (დაბალი ან საშუალო აწეულობის + მაღალი აწეულობის) ხმოვნებით შედგენილი კომპლექსი ამჟღავნებს მიდრეკილებას რეგრესიული ასიმილაციისაკენ: აე→ეე, აი→იი, აუ→უუ; 2. ვიწრო + ფართო ხმოვნებით შედგენილ კომპლექსებში დაჩნდება: ეა→ია, ოა→უა (შორს წასული პროცესის დროს დიფთონგიზაციის ტენდენცია); 3. თანაბარი ღიანობის (აწეულობის ხმოვნები) სხვადასხვა შედეგს იძლევიან. ოე კომპლექსი დასავლურ დიალექტებში იცვლება რეგრესიული ასიმილაციით (ანალოგიურად პირველი სახეობის კომპლექსებისა): გამოეკიდა→გამეეკიდა; აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში დაჩნდება დისიმილაცია: გამოეკიდა→გამუეკიდა. ამავე ჯგუფში შემოდის იდენტური ხმოვნებით შედგენილი კომპლექსებიც (პირველადი და მეორადი). იდენტურ ხმოვანთა შერწყმის შედეგად მიღებული გრძელი ხმოვნები ისწრაფვიან გადაიქცნენ მარტივ ხმოვნად (მიძიგური, 1946:19).

ამას შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი სახეობა (დადასტურებული აქარულ დიალექტში): იმ შემთხვევაში, როცა აი→ეი გათიშულია ვ თანხმოვნით, ი ხმოვანი იკარგვის: წავილე → წევილე → წევლე. არსებითად ესაა ეი →ეე ცვლილების სახეობა, სადაც ნაწილობრივი რედუქციის (ი → ე) ნაცვლად დაჩნდება სრული რედუქცია (ჯორბენაძე, 1998:97-100).

ქართულ ენაში სიტყვათა ძირითადი ნაწილი იქმნება მორფემათა (ფუძისა და აფიქსების) შეერთებით. შესაბამისად, მორფემათა ზღვარზე წარმოიქმნება ახალი ბგერათმimდევრობები, რომელთა ნაწილი შეიძლება საერთოდ არ დასტურდება ერთი მორფემის ფარგლებში (რამდენადაც ასეთი ბგერათმimდევრობა არაბუნებრივია ქართულისათვის); ასეთ შემთხვევაში ენა ცდილობს მეტყველების პროცესში ახალწარმოქმნილი არაბუნებრივი ბგერათმimდევრობა დაამსგავსოს ბუნებრივ ბგერათკომპლექსს (ფულტკარაძე, & მიქაუტაძე, 2014: 84).

წითელუბნის, შავშვებისა და ნაწრეტის მეტყველებაში ხმოვანთკომპლექსთა ცვლილება უპირატესად გამოვლინდება სიტყვის თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში. ძირითადად იცვლება პრევერბისეული ხმოვანი. ზემოაქარულში ადგილი აქვს ზმნისწინისეული ა და ო ხმოვანების ასიმილაციას (ნიჭარაძე, 1957: 15). ეს პროცესი არც შიდაქართლური მეტყველებითათვის არის უცხო.

თავკიდური პოზიცია:

ზმნისწინისეული ხმოვანი იცვლება კომპლექსებში რეგრესული, კონტაქტური, სრული ასიმილაციის შედეგად:

წინა რიგის საშუალო აწეულობის ე სრულად იმსგავსებს დაბალი აწეულობისა და შუა რიგის ა-ს.

აე→ეე: წეელო ამზავი; გეელო გული; ანო დეეკითხა; წეეელი...

შდრ. შიდაქართლური: ხალხი დეეხვია; ამ ბიჭსა გეეხვია (მარტიროსოვი, 1939:212). ი ბიჭი დევ დეეჯახა ; გეეთხოვებინათ ის ქალი (გიგინეიშვილი, თოფურია, & ქავთარაძე, 1961: 102, 286, 287, 299, 301).

მეყანწიშვილი დეერქვათ; გეერიდნენ ბატონეფსა; არც აქაურ ბატონს დეემორჩილა; იმას ვერ გეერეცხა (იმნაიშვილი, 1974 ბ:64, 84, 79, 92).

დეემზიდობებიან ერთმანეთს; ეს ფული **დეეხარჯა**; ეს ვაჭარი **გეეცნო** და **დეემეგრობრებინა** (ღლონტი, 1980: 224, 225, 226, 227).

ცოტა დიდ ადამიანს **დეემგვანეი**; ამ გოგოსაც **გეელვიძებინა** ; **დეეცემი** და მერე ნახან შენა ; ასფუთიან ქვევრში **ჩეესვა** ; მწუხარებით გული **ჩეეთუთქა**; მტრეფს **ჩეეპარათ** (კობერიძე, 2015: 54).

სრული რეგრესიული ასიმილაციით ეე ხმოვანკომპლექსთა საფეხურის გავლით მიიღება გრძელი ე ხმოვანი აჭარულ დიალექტსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებაში (ფუტკარაძე, ტაბიძე, ლაბაძე, კეკუა, გეჯუა, ჩელეგი, & სალია-ბეშიროდლო, 2022: 188).

აე-ეე-იე პროცესი დასტურდება იმერხეულ მეტყველებაშიც (მიქაუტაძე, 2014: 210-212). აე> ეე სრული, რეგრესიული ასიმილაცია გვხვდება შავშურ კილოშიც (ფადავა, შიოშვილი, მამულაძე, ცინცაძე, ჩოხარაძე, შაშიკაძე, ცეცხლაძე, ფუტკარაძე, ბარამიძე, კარალიძე, & ჩოხარაძე, 2014: 222).

ზმნისწინისეული ა ელემენტის ცვლილება ე ხმოვანთან კომპლექსში დამახასიათებელია ქართული ენის სხვა დიალექტებისათვისაც (რაჭული, იმერული, ლეჩხუმური ...) (ჯორბენაძე, 1998: 611).

წინა რიგის საშუალო აწეულობის ე სრულად იმსგავსებს უკანა რიგის საშუალო აწეულობის ლაბიალურ ო ხმოვანს⁷⁸. **ოე→ეე**: იმფერ დიდი ჯვალი მეერია და მეეკიდა და წეილო ვიბიში (ადგილი, სადაც სიმინდს თესავენ).

⁷⁸ ო-ს აწეულობა ქართულში შეიძლება მერყეობდეს საშუალოსა და დაბალს შორის. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელი გახდება დიფერენციალური ნიშნის: ლაბიალურობა-არალაბიალურობა - შემოტანა. ო დახასიათდება უკანა რიგის დაბალი თუ საშუალო აწეულობის ლაბიალური ხმოვანი (ფუტკარაძე, & მიქაუტაძე, 2014: 54).

შდრ. შიდაქართლური: **მეეზვა, მეერია, მეეშველება ...** (მარ-ტიროსოვი, 1939: 212).

მტერი **მეეშორებიანთ; მეეწონათ** აქაურობა (იმნაიშვილი , 1974 ბ: 66). **მეელაპარაკოს** დას ; ძალიან **მეეწონა** (ლლონტი, 1980: 224).

ოე კომპლექსში ასიმილაცია მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კილოებისათვის. აღმოსავლურ კილოებში პროცესი კიდევ უფრო შორს მიდის და ასიმილირდება რთული ზმნისწინების(ამო, ჩამო, გამო, წამო) პირველი ხმოვანიც. ეს მოვლენა ქართლურის გავლენის შედეგად ზემო იმერეთის სოფლებშიც დასტურდება (გემემეკიდა, გემევიდა, წემემეწია, ჩემემემტვრია ...) (მოწენიძე, 1973: 229; კობერიძე, 2023: 180).

ე ხმოვანი სრულად იმსგავსებს რთული ზმნისწინის ორივე ხმოვანს: **გემეერჩია** (←გამოერჩია), **გემეება** (←გამოება), **გამეელვიძა** (←გამოელვიძა), **წემეეყვანა** (←წამოეყვანა), **გედეერჩინა** (← გადაერჩინა), **გედეეხვივნენ** (←გადაეხვივნენ), **გედეეკიდა** (←გადაეკიდა).

ხმოვანთა ასეთი ცვლილება ძირითადად ქართლელთა მეტყველებაში გვხვდება, იშვიათად დასტურდება აჭარელთა მეტყველებაშიც: **გემეესხრიკა ...** ჯუმადიმი **გემეთხოვა** (← გამოეთხოვა)...

ქართლელთა მეტყველებაში ე ხმოვანი სრულად იმსგავსებს პირის ნიშნებით მისგან დამორებულ საასიმილაციო ა ან ო ელემენტს: **დეგეხარჯა** (←დაგეხარჯა), **დემემართა** (←დემემართა), **დეგეხერხა** (←დაგეხერხა), **დეგემახა** (←დამემახა), **დემესხა** (←დამესხა). ამ მხრივ, შიდაქართლური მეტყველება უახლოვდება ზემოიმერულს (კობერიძე, 2015: 52).

აჭარელთა მეტყველებაში დასტურდება პრევერბისეული (ა, ე) და ზმნის ქცევის (ი) ხმოვანთა ასიმილაცია, როდესაც მათ

შორის ობიექტური პირის პრეფიქსია (ნიჟარაძე, 1957: 14). ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას **აი → იი: გიდიმიქნია** (←გადამიქნია), **გიმიშენა** (←გამიშენა), **გიმიკეთა** (←გამიკეთა), **გიდიმიგდო** (←გადამიგდო). **ჩიმივარდა** (←ჩამივარდა), მაი კარი თევსით **გიმილო**; რაფერ **გიმიხარდა** მაი ამზავი; მე უნა **გიგიგონო**. იცვლება რთული ზმნისწინის ორივე ხმოვანი: **გიდიმიყარა** მთელი ურუბა (თბილი ტანსაცმელი)...

რთული ზმნისწინის პირველი ხმოვანი არ იცვლება შავშურში: გამემიშვეს, გამემილოს (ფაღავა, შიოშვილი, მამულაძე, ცინცაძე, ჩოხარაძე, შაშიკაძე, ცეცხლაძე, ფუტყარაძე, ბარამიძე, კარალიძე, & ჩოხარაძე, 2014: 224).

გურულში ზმნისწინისეული ხმოვანი უცვლელად გვენახება, თუ დაშორებულია მასიმილირებელ ხმოვანს მ ან გ თანხმონით (იმნაიშვილი, 1974 ა: 174).

შიდა ქართლში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია ერთი საინტერესო მოვლენაც: ქვევის ან ვნე-ბითი გვარის ი ხმოვანთა მიერ პრევერბისეული ა, ო ხმოვანთა დამსგავსება და შემდეგ მისი უკვალოდ გაქრობა (ნიჟარაძე, 1957: 15). მაგალითად: **გამევძახე← გამევძიძახე** (←გამოვიძიძახე); **გევიკეთე** (←გავიკეთე); **ევშენე←ევიშენე** (←ავიშენე)...

დაბალი აწეულობის შუა რიგის ა იმსგავსებს უკანა რიგის სამუალო აწეულობის ლაბიალურ ო ხმოვანს. **ოა→აა: შაანათა** თვალი; **შააგდეს** ჭკირთი...

შდრ. შიდაქართლური: ჩემთან **გამააცხადეთო** (მარტიროსოვი, 1939: 219); **მააჭამს** ფეხსა(გიგინეიშვილი, თოფურია, & ქავთარაძე, 1961: 286); წყალი არ **გამაატარებინა** (იმნაიშვილი, 1974 ბ : 84); წადი და **ამაატანინე** ... (კობერიძე, 2024: 131).

შიდა ქართლურში მორფემათა ზღვარზე ერთი მორფემის ფარგლებში ზმნისწინისეული ხმოვანი ო პირველი ობიექტური პირის მ-ნიშნის მეზობლობაში იცვლება ა ელემენტით (მეორე

და მესამე პირში ო არ იცვლება): მო ზმნისწინი მა-ს სახეს იღებს ზემოიმერულში, როცა მას სონორი მ მოსდევს. ეს მისთვის იმდენად დამახასიათებელია, რომ ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად გამოდგება ზემოიმერულის ქვემოიმერულისაგან გასამიჯნავად (მოწენიძე, 1973: 244).

იმერხეულში დაახლოებით ასეთივე სურათია, მაგრამ შესამჩნევია ისიც, რომ თითქმის ყოველთვის ასეთი ცვლილება ხდება იქ, სადაც საფუძველია მომზადებული ასიმილაციისათვის, თანაც ეს ხდება ძირითადად სუბიექტის მეორე და მესამე პირის ფორმებთან (ფუტყარაძე, 2016: 116).

კახურში მო ზმნისწინის ო ელემენტის ანით შეცვლა ზოგჯერ შეპირობებულია ზმნის პირთა ცვლით. მაგალითად, პირველ სუბიექტურ და მეორე ობიექტურ პირთან ჩვეულებრივ გვევლინება მო- (მე მოვიტანე, მე მოვჭერ; შენ მოგიტანე, შენ მოგიჭრი; მე მამიტანე, მე მამიჭრი; შენ მაიტანე, შენ მაშჭერი, მან მაიტანა, მან მაშჭრა) (მარტიროსოვი & იმნაიშვილი, 1956: 35).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ზემოთ აღნიშნულ ცვლილებას დასაბამი უნდა მისცემოდა ოა პოზიციაში და მხოლოდ შემდეგ გაეფართოვებინა მოქმედების არე იმ გარემოცვაში, სადაც ამ ფონეტიკური ცვლილების საფუძველი არ არსებობს (თოფურია, 1925: 131).

უკანა რიგის, მაღალი აწეულობის უ ხმოვანი იმსგავსებს შუა რიგის, დაბალი აწეულობის ა ხმოვანს. აუ→უუ: დედოფლის ფეხებთან დუუფენენ ახალ ნაჭერს; უურიოთ ერთი ჭაჭვი შექერი; არ გუუშვებენ; ბაღვ დუუძახა; მეფე-დედოფალ მაგიდი წინ დუუდებენ; მიხეილას ბაღანაი წუუვიდა, მაი ჯვალაი თავი შუუკარ წესიანად ... უკანა რიგის, მაღალი აწეულობის უ ხმოვანი იმსგავსებს წინა რიგის, მაღალი აწეულობის ი-ს: იუ→უუ: მუუტანონ სადილი; ნენე მუუყვანონ ... ეს პროცესი კიდევ უფრო შორს მიდის და მთავრდება გრძელი ხმოვნებით.

შდრ. შიდაქართლური: აუ→ოუ რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით. მაგ.: **გოუკეთა** (←გაუკეთა); **გოუგზავნა** (←გაუგზავნა)... ასეთი შემთხვევები იშვიათია.

შავშურში **უუ** ენაცვლება არა მარტო აუ კომპლექსისაგან მიღებულ, არამედ პირველად ოუ კომპლექსაც (ფაღავა, შიოშვილი, მამულაძე, ცინცაძე, ჩოხარაძე, შაშიკაძე, ცეცხლაძე, ფუტკარაძე, ბარამიძე, კარალიძე, & ჩოხარაძე, 2014: 225).

ზმნისწინისეული ა და ო ხმოვნები ფუძისეულ (ფორმანტისეულ) ი ხმოვანთან მეზობლობაში იცვლებიან. ასიმილაციის ძალა აქვს ფუძისეულ ი ხმოვანს. ასიმილაცია ასეთ პოზიციაში არის რეგრესული, ნაწილობრივი, კონტაქტურიც და დისტანციურიც (ფუტკარაძე, 2016: 56).

ნაწილობრივი, კონტაქტური ასიმილაციით გამოწვეულია კომპლექსთა ცვლილება: **აი →ეი**: რუმ **გეიმსება**; ცომი **გეიყოფა** პაწვინ ნაჭრებათ; **გეიჭრება** შვაზე...

ნაწილობრივ დისტანციურ ასიმილაციას (აი→ეი) მოსდევს ი ზმნური აფიქსის დაკარგვა: **ევლოთ** ორი-სამი კილო ფქვილი; გორში **წევდნენ** დილასვე; **დევწყოფ** კრეფას...

შიდა ქართლის სოფლებში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაში კონტაქტური სრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული ეე განიცდის რეგრესულ დისიმილაციას აე→ეე →იე. მაგ.: დაბერდა და არ **გიემტყუნება** (წითელუბანი); ქალი წავიდა და კაციც **გიეკიდა**, **გიეკითხა** მაი ამბავი (წითელუბანი) ; **დიესიენ** მეზობლები (კობერიძე, 2015:51).

ხმოვანთა ნაწილობრივი დისიმილაციის შემთხვევები (ოა→უა) დამახასიათებელია შიდაქართლური და აჭარული მეტყველებისათვის: **მუათბობს** (←მოათბობს), **მუაკითხა** (←მოაკითხა)...

ხმოვანთა დისიმილაცია გვხვდება სახელებში ბოლოკიდურ პოზიციაში, როდესაც ფუძის ბოლოკიდური ე (ზოგჯერ ა-

ც) მრავლობითის ებ სუფიქსის ე-ს გავლენით განიცდის ცვლილებას. ეე → იე : **ხიები** (←ხეები); **კიბიები** (←კიბეები); **რძიები** (←რძეები); **ციები** (←ცაები←ცეები←ცები); ყანიები (←ყანები←ყანები) ... დისიმილაციის პროცესი უფრო შორსაც მიდის და ვიღებს ძე კომპლექსს. ეს მოვლენა დამახასიათებელია მესხურ-ჯავახური მეტყველებისათვისაც.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ზემოაქარულში ეე>იე>დე-ს ტენდენცია დასრულებულ სახესღებულობს. შესაძლებელია ეს გარემოება დიფთონგიზაციის მიდრეკილების ერთ-ერთ გამოვლენას წარმოადგენს (ნოლაიდელი, 1960:16).

ზემოთ განხილულ საილუსტრაციო მაგალითებს თუ შევადარებთ შიდაქართლურს, დავინახავთ, რომ კონტაქტური, რეგრესული ასიმილაციის შედეგად **აე** და **აო** ხმოვანთკომპლექსები გვაძლევენ **ეე** და **ოო** კომპლექსებს. **აე → ეე: ა)** სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი **-ებ** სუფიქსის **ე** ხმოვანი იმსგავსებს ფუძისეულ **ა-ს** (როცა ბოლოკიდური **ა** ხმოვანი არ იკვეცება): **ქოჩორა → ქოჩორაები → ქოჩორეები**. **ბ)** -ებ სუფიქსის **ე** ხმოვანი იმსგავსებს ნათესაობით ბრუნვაში დართულ **ა** მავრცობ ხმოვანს: **წლისა → წლისაები → წლისეები, გვარისა → გვარისაები → გვარისეები** (კობერიძე, 2024: 36).

შიდა ქართლში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაში მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებების გამოვლენის სიხშირის პროცენტული მაჩვენებელი ჩვენ მიერ მოძიებული მასალების მიხედვით: თავკიდური პოზიცია: **აე → ეე** - 5 %; **ოე → ეე** - 2 %; **აი → იი** - 6 %; **ოი → ეი** **ი** ხმოვნის დაკარგვით - 9 %; **ოა → აა** - 2 %; **აუ → უუ** - 2%; **ოა → უა** - 2%; **აი → ეი** - 3%; **აე → ეე → იე** - 4%. შდრ. შიდა ქართლური : **აე → ეე** - 7%; **ოე → ეე** - 2 %; **ოა → აა** - 9 %; **აუ → ოუ** - 2%; **ოა → უა** - 2%; **ოა → უა** 2%.

ბოლოკიდური პოზიცია: **აე → ეე → იე**.

დასკვნა

როგორც გაანალიზებული მასალებიდან ჩანს, შიდა ქართლში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაში მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებების გამოვლენის სიხშირე განსხვავებულია სახელურ და ზმნურ ფორმებში თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციათა მიხედვით. ზმნის თავკიდურ პოზიციაში გამოვლინდა 9 ხმოვანთკომპლექსის ცვლილება : აე→ეე - 5 %; ოე→ეე - 2 %; აი→იი - 6 %; ოი→ეი ი ხმოვნის დაკარგვით - 9 %; ოა→აა -2 %; აუ→უუ-2%; ოა→უა- 2%; აი→ეი -3%; აე→ეე→იე- 4%. ქართლელთა და აჭარელთა საერთო კომპლექსთა ცვლილება: აე→ეე - 7%; ოე→ეე - 2 %; ოა→აა -9 %; აუ→ოუ- 2%; ოა→უა- 2%.

სახელის ბოლოკიდურ პოზიციაში რეალიზებულია 1 ხმოვანთკომპლექსის ცვლილება: აე→ეე→იე - 5%.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ წითელუბნის, შავშევებისა და ნაწრეტის მეტყველება ქართლურის ძირითად მონაცემებს გვიჩვენებს, მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებების ძირითადი ტენდენციები ენის განვითარების ზოგად კანონზომიერებებს შეესაბამება, საერთო ქართულია და მეტ-ნაკლებად სხვა კილოებშიც დასტურდება, თუმცა დასტურდება გარკვეული მოდიფიკაციებიც, რომელიც განპირობებულია დიალექტის შინაგანი კანონებით, მოსახლეობის მიგრაციითა და სამეტყველო კოდთა შერევით.

აჭარული მეტყველებისათვის დამახასიათებელია ხმოვანთკომპლექსთა ერთსაფეხურიანი და ორსაფეხურიანი ცვლილებები, შიდაქართლური მეტყველებისათვის დამახასიათებელია ხმოვანთკომპლექსთა ერთსაფეხურიანი ცვლილება. საყურადღებოა, ასიმილაციისა და დისიმილაციის გამოვლენის სამი მარკერი: ლოკალური რიგი (საწარმოთქმო ადგილი), ღიაობა (აწეულობა) და ლაბიალურობა.

დრომ უნდა აჩვენოს, წითელუბნის, შავშვებისა და ნაწრეტის მეტყველების ერთადერთი ნიშანი ქართლური იქნება, თუ შეიქმნება პარალელური გარემო ან ნარევი მეტყველება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- გიგინეიშვილი, ი., თოფურია, ვ., & ქავთარაძე, ი. (1961). *ქართული დიალექტოლოგია. I*. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- თოფურია, ვ. (1925). ქართლური. *არილი*, 137.
- იმნაიშვილი, გ. (1974 ა.). *ქართლური დიალექტი. გამოკვლევა. I*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- იმნაიშვილი, გ. (1974 ბ.). *ქართლური დიალექტი. II*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- კობერიძე, მ. (2015). ქართლურისა და აჭარულის ურთიერთმიმართებისათვის სოფელ წითელუბნის მეტყველებაში. *XXXV რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები*, 25-26.
- კობერიძე, მ. (2015). *ზმნისწინთა ფონეტიკური ცვლილებისათვის ქართლურში. ენა და კულტურა*, # 14, 52-55.
- კობერიძე, მ. (2020). დროის აღმნიშვნელი ზმნისართები შიდაქართლურში. *ფილოლოგიური კვლევები*, #1., 54.
- კობერიძე, მ. (2023). *ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობები ზემოიმერულში. წელიწდეული*, XV, 177-183.
- კობერიძე, მ. (2024). *მავრცობი ხმოვნების პოზიცია და ფუნქცია შიდაქართლურში*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- მარტიროსოვი, ა. (1939). *ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში. აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*. ტ. IV. ნაკვ. 3, 211- 213.

- მარტიროსოვი, ა., & იმნაიშვილი, გ. (1956). *ქართული ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები)*. თბილისი: „გამომცემლობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“.
- მიქაუტაძე, მ. (2014). *ცვლილებანი იმერხეულში საუკუნის მანძილზე* (ნ. მარისა და თანამედროვე ტექსტების მონაცემების მიხედვით). *ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწადული*, VI., 210-212.
- ნიჟარაძე, შ. (1957). *ზემოაჭარულის თავისებურებანი*. ბათუმი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- ნიჟარაძე, შ. (1961). *ქართული ენის აჭარული დიალექტი. გამოკვლევა და ტექსტები*. ბათუმი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- ნოღაიდელი, ჯ. (1960). *აჭარული კილოს თავისებურებანი*. ბათუმი.
- ფუტყარაძე, ტ., მიქაუტაძე, მ. (2014). *ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა*. თბილისი.
- ფუტყარაძე, ტ., ტაბიძე, მ., ლაბაძე, მ., კეკუა, ს., გეჯუა, კ., ჩელები, ფ., & სალია-ბეშიროღლუ, მ. (2022). *ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ფაღავა, მ. შიომშვილი, თ. მამულაძე, შ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, მ. შაშიკაძე, ზ. ცეცხლაძე, ნ. ფუტყარაძე, თ. ბარამიძე, მ. კარალიძე, ჯ. ჩოხარაძე, ვ. (2014). *შავშვეთი*. თბილისი: გამომცემლობა „ჰოროსი“.
- ფუტყარაძე, შ. (2016). *ჩვენებურების ქართული*. ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა“.
- ღლონტი, ა. (1980). *ვილოლოგის ჩანაწერები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ბიბიგური, შ. (1946). *ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში*.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. I, 19-31.

ძოწენიძე, ქ. (1973). *ზემოიმერული კილოკავი*. თბილისი.

ჯორბენაძე, ბ. (1998). *ქართული დიალექტოლოგია. 2*. თბილისი.

References:

gigineishvili, i., topuria, v., & kavtaradze, i. (1961). *kartuli dialekt'ologia, I, kartuli enis k'ilota mok'le gankhilva. t'ekst'ebi. Lek-sik'oni. [Georgian dialectology, I, a brief discussion of the kilos of the Georgian language. texts. Dictionary]*. Tbilisi: gamomtsemloba „Tbilisis sakhelmts'ipo univrsiteti”.

topuria, v. (1925). *kartluri [kartluri]. arili [Aril]*, 137.

imnaishvili, g. (1974)a. *kartluri dialekt'i. I. gamok'vleva. [Georgian dialect. I. research]*. Tbilisi: gamomtsemloba „Metsniereba”.

imnaishvili, g. (1974)b. *kartluri dialekt'i, [Georgian dialect]*. II. Tbilisi: gamomtsemloba „Metsniereba”.

k'oberidze, m. (2015). *kartlurisa da ach'arulis urtiertmimartebisatvis sopel ts'itelubnis met'qvelebash*i [For the relationship between Kartli and Adjarian in the speech of the village of Tsitelubani]. *XXXV resp'ublik'uri sametsnihero sesiis masalebi [Materials of the XXXV Republican Scientific Session]*, 25-26.

k'oberidze, m. (2015). *zmnists'inta ponet'ik'uri tsvlilebisatvis kartlurshi*. [Some phonetic changes of preverbs in Kartluri]. *ena da k'ult'ura [Language and culture]*, # 14, 52-55.

k'oberidze, m. (2023). *zmnists'inta ponet'ik'uri nairsakheobebi zemoi-merulshi*. [Phonetic Varianties of Prefixec in Upper Imeretian]. *ts'elits'deuli [[Tselitsdeuli]*, XV, 177-183.

- k'oberidze, m. (2020). drois aghmnishvneli zmnisartebi shidakartlurshi [Time adverbs in Shidakartli]. *pilologiuri k'vlevebi* [Philological studies], #1, 54.
- k'oberidze, m. (2024). *mavrtsoḃi khmovneḃis p'ozitsia da punktisia shidakartlurshi* [Position and Function of Extending Vowels (Emphatic vowels) in Shidakartlian]. Tbilisi: gamomtsemloba „Meridiani”.
- mart'irosovi, a. (1939). angariḃi sazapkḃulo mivlineḃisa pronis kheobaḃi. [Report of summer business trip to Froni valley]. *ak'ademik'os n. maris sakḃelobis enis, ist'oriisa da mat'erialuri k'ult'uris inst'it'ut'is moambe* [Academician N. Mari Institute of Language, History and Material Culture, Moambe]. IV, 3, 211-213.
- mart'irosovi, a., & imnaishvili, g. (1956). *kartuli enis k'akhuri dialekt'i (gamk'vleva da t'ekst'ebi)*. [Kakhuri dialect of the Georgian language (research and texts)]. Tbilisi: gamomtsemloba „Sakartvelos metsniereḃata ak'ademia”,
- mikaut'adze, m. (2014). tsvlileḃani imerkḃeulḃi sauk'unis mandzilze (n. marisa da tanamedrove t'ekst'ebis monatsemeḃis mikhedvit) [Changes in Imerkheul over the century (according to N. Mari and contemporary texts)]. *kutaisis saḃaro bibliotek'is ts'elits'deuli* [Kutaisi Public Library Yearbook], VI, 210-212.
- put'k'aradze, t'., mikaut'adze, m. (2014). *kartuli samts'ignobro enis ponet'ik'a*. [Phonetics of the Georgian Literary Language]. Tbilisi.
- nizharadze, sh. (1957). *zemoach'arulis taviseḃureḃani* [Features of the Upper Adjarian Dialect]. Batumi: „sakḃelmts'ipo gamomtsemloba”.

- nizharadze, sh. (1961). *kartuli enis ach'aruli dialekt'i. gamok'vleva da t'ekst'ebi* [The Adjarian Dialect of the Georgian Language]. batumi: „sakhelmts'ipo gamomtsemloba”.
- noghaideli, j. (1960). *ach'aruli k'ilos taviseburebani* [Features of the Adjarian Kilo]. Batumi.
- paghava, m. shioshvili, t. mamuladze, sh. tsintsadze, m. chokharadze, m. shashik'adze, z. tsetskhladze, , n. put'k'aradze, t. baramidze, m. k'aralidze, j. chokharadze, v. (2014). *shavshveti* [Shavshveti]. Tbilisi: gamomtsemloba „horosi”.
- put'k'aradze, t'., t'abidze, m., labadze, m., k'ek'ua, s., gejua, k'., chelebi, p., & salia-beshiroghlu, m. (2022). *kartvelur-turkul sam-et'qvelo k'odta sherevis k'anonzomierebebi kartvelurenovani muhajirebis shtamomavalt met'qvelebis mikhedvit. [The Kartvelian-Turkish Codemixingularities According to the Speech of Kartvelian –Speaking Muhajir' Descendants]*. Tbilisi: gamomtsemloba „universali”.
- put'k'aradze, sh. (2016). *chveneburebis kartuli. [Chveneburebis' Georgian]*. Batumi: ach'ara.
- ghlont'i, a. (1980). *pilologis chanats'erebi. [Notes of a Philologist]*. Tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo”.
- dzidziguri, sh. (1946). khmovanta k'omp'leksebis ponet'ik'ur p'rotsesta saerto sapudzveli kartul k'iloebisa da zanurshi. [The common basis of phonetic processes of vowel complexes in Georgian Kilo and Zanuri]. *iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba [Iberian-Caucasian Linguistics]*. I , 19-31.
- dzots'enidze, k. (1973). *zemoimeruli k'ilok'avi. [Upper Imeretian Kilo-kavi]*. Tbilisi.
- jorbenadze, b. (1998). *kartuli dialekt'ologia. [Georgian dialectology]*. 2. Tbilisi.